პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინონ კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება.

ასევე უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც გავლილი აქვს უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ინგლისურენოვანი პროგრამა სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება.

ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

https://gtu.ge/Science/Doctorate_Department.php

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანალებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზანია:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებების თანამედროვე მეცნიერული მიღწევების შესწავლა და შემდგომი განვითარება; საერთაშორისო დონის აქტუალური პროცესების და მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების გადაწყვეტაზე ორიენტირებული, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მქონე, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი მკვლევარების მომზადება, ინოვაციური მეთოდების შემუშავების, სამეცნიერო კვლევითი პროცესების წარმართვისა და პედაგოგიური, სამეცნიერო მოღვაწეობასთვის.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემატიკის, მენეჯმენტში კულტურული თავისებურებების შედარების, ქვეყნების კლასტერებად დაყოფის, საქმიანი კულტურების ტიპების განსაზღვრის თანამედროვე მეთოდების, საწარმოთა კლასტერების ინტეგრაციული პროცესების, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, თანამედროვე კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების უახლეს მიღწევებზე

დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენების, ბიზნეს-პროცესებში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საშუალებას აძლევს (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე).

განსაზღვრავს ტექნოლოგიური ინოვაციების ცვლის ტემპების დაჩქარების პირობებში თანამედროვე დარგებისა და საწარმოების მართვის სპეციფიკური ასპექტის კრეატიულობისა და ინტელექტის ურთიერთკავშირს მმართველობით პროცესში.

აანალიზებს გლობალურ-ინოვაციური პროცესების, საწარმოთა კლასტერების თავისებურებების, კლასტერული პოლიტიკის ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელობის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლების არეალს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

დამოუკიდებლად ახორციელებს რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის დამახასიათებელი არსებული პრობლემების, კლასტერული პოლიტიკის წარმართვისათვის ინოვაციურ კვლევას;

შეიმუშავებს კლასტერული ინიციატივების განხორციელების ტრანსფერული უნარებით ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

ახორციელებს სწავლებას უახლესი სწავლა-სწავლების მეთოდებისა და მათ სტრატეგიათა კომბინირებით, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის გადაცემითა და მის განმტკიცებაზე ორიენტირებული დავალებების შედგენით, საკითხების ანალიზის პროცესში სტუდენტთა ჩართვა/თანამონაწილეობის უზრუნველყოფითა და მათი შეფასების რელევანტური მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით.

დასკვნის უნარი

ახდენს გლობალურ-ინოვაციური ტენდეციების, რეგიონის მდგრადი განვითარების პროცესის, ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკის შესახებ ახალი, რთული, წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას; ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ახალი მეთოდოლოგიებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობას; დამოუკიდებლად იღებს პრობლემის გადაჭრისათვის სწორ და ეფექტიან გადაწყვეტილებას.

კომუნიკაციის უნარი

დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს ახალ ცოდნას არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, შეუძლია დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება ახალი იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, აქვს აუდიტორიისათვის შესაბამისი პრეზენტაციებისა და წერილობითი ინფორმაციის მომზადების და წარდგენის, საჯარო გამოსვლების წარმართვის უნარი. ასევე,

საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში უცხოურ ენაზე ჩართვის უნარი.

სწავლის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე აქვს ახალი იდეების გენერირების, მისი შენახვა გადაცემის და რეგენერირების უნარი.

ღირებულებები

იკვლევს ღირებულებათა დამკვიდრების ახალ გზებს და შეიმუშავებს მეთოდებს მათ დასამკვიდრებლად.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ნიშნავს დამატებითი გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი განთავსებულია უნივერისტეტის ვებგვერდზე: „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“

https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	**სავალდებულო სასწავლო კურსები**	**კრედიტი**
1.	აკადემიური და სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა B	5
2.	კვლევის მეთოდები ბიზნესის ადმინისტრირებაში	5
3.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	5
4.	ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები	5
5.	შედარებითი მენეჯმენტი	5
6.	ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა	5
7.	თემატური სემინარი	10
8.	პროფესორის ასისტენტობა (ბიზნესის ადმინისტრირება)	5
	არჩევითი კურსები	
9.	თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები	**5**
10.	რეგიონის მდგრადი განვითარება	**5**
11.	კვლევა საერთაშორისო ფინანსებში	**5**
12.	ინტელექტუალური და კრეატიული მართვა	**5**
13.	ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	**5**
14.	ტრანსპორტის და მრეწველობის მენეჯმენტის პრობლემატიკა	5
	კვლევითი კომპონენტი	